

ანალიზი ჰომოგენურ კვაზი-მეტრიკულ სივრცეებზე

ანი ოზბეთელაშვილი

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰომოგენურ კვაზი-მეტრიკულ სივრცეებზე განხილული ზოგიერთი ფუნქციური სივრცისათვის მიღებული იქნება ექსტრაპოლაციის თეორემები. ნაშრომის ძირითადი მიზანია შესწავლილ იქნას ჰარმონიული ანალიზის ზოგიერთი საკითხი ჰომოგენური ტიპის სივრცეებზე (SHT), (ანუ კვაზი-მეტრიკული სივრცეები, რომლებზეც შემოღებულია ზომა გაორმაგების პირობით). არსებობს მრავალი მიზეზი, გარდა უშუალოდ ბუნებრივი მათემატიკური განზოგადებისა. ჰომოგენური ტიპის სივრცეების საჭიროება წარმოიქმნება როდესაც გვსურს განვიხილოთ რაიმე აბსტრაქტულ სიმრავლეზე შემოღებული მეტრიკული სივრცე, და მასზე ანალიზი. შევნიშნოთ, რომ ასეთი ზოგადი ტიპის შედეგები, რომლებიც მიღებულია ჰომოგენურ სივრცეებში, მყისიერად პოვებს გამოყენებებს ფრაქტალური ტიპის სიმრავლეების შესწავლისას.